

სკოლა \_\_\_\_\_ კლასი \_\_\_\_\_

სახელი \_\_\_\_\_ გვარი \_\_\_\_\_

ტელეფონი \_\_\_\_\_

### **ამოცანა 1: ციფრების გადახაზვა**

რიცხვში 4938107 გადახაზე 3 ციფრი ისე, რომ დარჩენილმა ციფრებმა (იგივე თანმიმდევრობით) შეადგინოს:

- ა) შეძლებისდაგვარად ყველაზე დიდი ოთხნიშნა რიცხვი
- ბ) შეძლებისდაგვარად ყველაზე პატარა ოთხნიშნა რიცხვი

## **ამოცანა 2: რამდენი გვერდია?**

სულ რამდენი გვერდია წიგნში, თუ მისი გვერდების გადასანომრად გამოიყენეს 2382 ცალი ციფრი? (პასუხი დაასაბუთეთ).

## **ამოცანა 3: რიცხვების არჩევა**

რიცხვების რა უდიდესი რაოდენობა შეიძლება ავარჩიოთ 1-დან 12-ის ჩათვლით ნატურალურ რიცხვებს შორის ისე, რომ ამორჩეული რიცხვებიდან არც ერთი იყოს ორჯერ მეტი სხვა რომელიმე არჩეულ რიცხვზე? ჩამოთვალეთ არჩეული რიცხვები.

#### **ამოცანა 4: რიცხვების მწკრივი**

ერთ მწკრივში ჩამონერილია 99 ნატურალური რიცხვი. მეხუთე რიცხვია 7, მეექვსეა – 8. ამასთან, ცნობილია, რომ ამ მწკრივში ნებისმიერი სამი მეზობელი რიცხვის ჯამია 20.

ა) რა რიცხვები დგას ამ მწკრივის ბოლოებში?

ბ) ეს მწკრივი რომ გავაგრძელოთ იგივე კანონზომიერებით, რა რიცხვი აღმოჩნდება მეათასე ადგილზე?  
(პასუხი დაასაბუთეთ).

## **ამოცანა 5: ვინ არის უმცროსი და ვინ უფროსი?**

ეზოში თამაშობს სამი ბიჭი: **A, B** და **C**.

ქვემოთ მოყვანილი წინადადებებიდან ერთ-ერთი მცდარია:

- A უფროსია, ვიდრე B;
- C უმცროსია, ვიდრე B;
- B-სა და C-ს ასაკების ჯამი ორჯერ მეტია A-ს ასაკზე;
- C უფროსია, ვიდრე A.

ვინ არის ბიჭებს შორის ყველაზე უმცროსი და ვინ ყველაზე უფროსი? (პასუხი დაასაბუთეთ).